# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართოთ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხიდეველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888


## კიდევ ლაშარობაზედ

(იხ. „ივერია“ № 174)

წერილი ბ-ნ ვაჟა-ფშაველასთან.

ამ შესანიშნავს ფშაურს სალოცავს, რომელსაც „ლაშარობა“, „ლაშარის ჯვარი“ ჰქვიან, დიდი ადგილი უჭირავს ფშაველების ცხოვრებაში, დიდი მნიშვნელობა აქვს და ამიტომაც ამ ჯვარობაზედ განმეორებით ლაპარაკი მეტი არ უნდა იყოს. თქვენ, როგორც ფშაველების ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებათა საფუძვლიანს და ზედ-მიწევნით მცოდნეს, კარგად მოგეხსენებათ, რომ „ლაშარის ჯვარი“ ისეთი ხატია, რომელიც წარსულს დროს და ეხლაც მთელს ფშავს თავისს მფარველად მიაჩნდა. ეხლაც „ლაშარობა“ პირველი ჯვარობაა და თუ ასეა, მაშ თვით ხატობას ღრმა აზრი უნდა მოეპოვებოდეს, როგორც ხალხის წარმოდგენაში, ისე ისტორიულადაც. რაშია ეს ღრმა აზრი „ლაშარობისა“, რა არის „ლაშარის ჯვარი“?

თქვენ ამბობთ, რომ „ლაშარის ჯვარი“ ლაშა გიორგისაგან აშენებული ეკკლესიაა წმიდა გიორგის სახელზედაო; ლაშა გიორგის ამ ეკკლესიისათვის შეუწირავს წმიდა გიორგის ხატიო; ხალხს ეს გარემოება დავიწყებია, „შეწირული და შემწირველი გაუერთებია და კიდეც გაუღმერთებიაო“... გამოდის, რომ ფშაველს ლაშა გიორგი გაუღმერთებია, ის ლაშა გიორგი, რომელმაც არა თუ „გასაღმერთებელი“ არა ქმნა-რა, არამედ მთელი თავისი სიცოცხლე ბიწიერებასა და გარყვნილებას შესწირა, ანაცვალა. როგორ მოხდა, ან რა დასაჯერებელია ლაშა გიორგის „გაღმერთება“, სალოცავად, ხატად გარდაქმნა? მინამ ამაზედ პასუხს მოგცემდეთ, ერთი შენიშვნაა საჭირო. აი რა: ჩვენი ძველი გეოგრაფი ვახუშტი სრულიად თანხმაა თქვენის აზრისა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, თქვენი აზრი და შეხედულობა დამყარებულია ვახუშტის სიტყვებზედ. ვახუშტი კიდევ იმას ამბობს, რომ „ფშავსა შინა არს ეკკლესია, ლაშასაგან აღშენებული, რომელსა... უწოდებენ ლაშასჯვარს“... მაგრამ საქმეც ისაა — „ლაშარის ჯვარი“ ლაშასაგან აშენებული ეკკლესიაა, თუ საერო, სახალხო ხატია, რომელსაც სულ სხვა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

მოგეხსენებათ, რომ ლაშა გიორგი სხვა ხასიათის მეფე იყო; იგი ეკკლესიების აშენებას არ მისდევდა, ყურადღებას არ აქცევდა. ისიც გეცოდინებათ, რომ ეს ქეიფისა და ლხინის მოყვარე მეფე ფშავს მაგრე რიგად არა სწყალობდა და ზაფხულობით სააგარაკოდ აფხაზეთის სტუმარი ბძანდებოდა ხოლმე... იქ, აფხაზეთში, ლაშა გიორგი ნადირობდა ხოლმე ზაფხულობითაო, ამბობს ჩვენი ისტორია. ეს კიდევ არაფერი: შეიძლება ლაშა არც ღვთის მოსავი ყოფილიყო და არც მთიანი და კლდოვანი ფშავი ჰყვარებოდა, მაგრამ ერთი ეკკლესია მაინც აეშენებინა წმ. გიორგის სადიდებლადა და თავისის სახელის მოსაგონებლად. ეს ყველაფერი შესაძლოა, ხოლო ის-კი შეუძლებელია, რომ ხალხს, და მეტადრე ისეთს პატიოსანს და ზნეობიანს, როგორნიც ფშაველები არიან, „გაეღმერთებინა“ და ისიც ვინ? ლაშა გიორგი!.. რომლისამე მეფის „გაღმერთებისათვის“, როგორც თქვენც მოგეხსენებათ, საჭიროა „გასაღმერთებელმა“ ღრმა კვალი გაავლოს ხალხის ცხოვრებას და ისიც კეთილი, ნაყოფიერი კვალი. თუ ფშაველმა „გაალმერთა“ თამარ მეფე, ამას თავისი საბუთი აქვს, — დიდებულმა თამარმა ბევრი ღვთიური საქმე ჰქმნა... რა ღვთიური საქმე გააკეთა ღირსეულის დედის ყოვლად უღირსმა შვილმა? — არაფერი! მაშ ლაშა გიორგის ხალხისაგან „გაღმერთებაც“ მართალი არ უნდა იყოს. ასეც არის.

ჩემის აზრით, ვახუშტი სცდება, როცა ამბობს, რომ ლაშასაგან ფშავში აშენებულს ეკკლესიას ლაშას ჯვარს უწოდებენო... აქ ვახუშტი ღრმად ვერ დაჰკვირვებია სიტყვას „ლაშას ჯვარი“, ამ სიტყვის ეტნოგრაფიული მნიშვნელობა ვერ შეუგნია და ამიტომაც ჰგონია, რომ „ლაშარის ჯვარი“ წარმოსდგება სიტყვისაგან «ლაშა გიორგი». ჩვენ ვამტკიცებთ, რომ «ლაშარის ჯვარს», «ლაშარობას» ეტნოგრაფიული მნიშვნელობა აქვს და ნიშნავს **ლაშქრობის ჯვარს, ლაშქრობას, ლაშქრის ხატს**.

ფშავში ლაშქრობა ჩვეულებრივს ხელობას შეადგენდა. როგორც სხვა ჩვენს მთიულებს, ისე ფშაველებსაც მტერი არ აკლდა. მტერი ლაშქრავდა ფშავს და ეს კიდევ ლაშქრავდა თავისს მტერს, სულ ერთია, ვინც უნდა ყოფილიყო ეს უკანასკნელი — «ურჯული», თუ «რჯულიანი», თავისიანი, თუ უცხოელი. ლაშქრობისათვის საჭირო იყო ცალკე ხატი, ცალკე სალოცავი, **ლაშქრის ჯვარი**. სინამდე ფშაველი გაილაშქრებდა თავისს მტერზედ, საჭიროდ რაცხდა ლაშქრის ხატთან ლოცვა-ვედრებას მტერზედ გასამარჯვებლად. ამიტომაც ლაშქრის ჯვარი საკუთარს რელიგიურს კულტს შეადგენდა, აი თუნდა ისეთს, როგორც ძველს რომაელებს ჰქონდათ (მარსი, ღმერთი ლაშქრობისა). ვაჟკაცობა გმირობა და ლაშქრობა, ფშაველის შეხედულობით, ღვთიური საქმეა, ზეციურს არსებაზედ — ხატზედ არის დამოკიდებული და ამიტომ საჭირო იყო საკუთარის ლაშქრის ჯვარის დაარსება.

ძველს დროს სწორედ ასეთი მნიშვნელობა ჰქონდა ლაშარის ჯვარს. «ლაშარს» თავისი საკუთარი დროშა ჰქონდა, საკუთარი ხევის-ბერი ჰყავდა, რომელიც ლაშქრის წინამძღოლად ითვლებოდა. ჯერ «ლაშარს» უნდა დაჰკითხოდა ხალხი, შეეტყო — ყაბულობს თუ არა ჯვარი გალაშქრებასა და მერე გაელაშქრნა. უამისოდ გალაშქრება შეუძლებელად მიაჩნდათ და თუ იკისრებდნენ, დამარცხება მოსალოდნელი იყო.

ფშაველების «ლაშარს» ფართო სამფლობელო ეჭირა, იმას ემორჩილებოდნენ, მარტო ფშაველები კი არა, ხევსურნი და თუშნიცა. ეს ცხადად სჩანს ერთის ხევსურულის სიმღერიდგან:

> თუშთა, ხევსურთა, ფშაველთა
> ლაშარს პირობა შაჰკრიან;
> უბრძანებს ლაშარის ჯვარი —
> ახვაში ჩასვლა მწადიან,
> ერთმანეთს ნუ უღალატებთ“ და სხ..

„ლაშარის“ განსაკუთრებული, ჩვენგან ნაჩვენები მნიშვნელობა შედარებითაც მტკიცდება. როგორც ვიცით, ეხლაც ხევსურეთში რამდენსამე ადგილს არის „ლაშქრობის“ ხატი, ჯვარი. ამ გვარი უმთავრესი ხატი მეუფებს ს. გუდანში. ლაშქრობაც გუდანის ჯვარის „ბრძანებაზედ“ იყო დამოკიდებული:

> ხევსურებ ბედავს ლაშქარსა,
> ბრძანებს გუდანის ჯვარიო“...

ხევსურეთშიაც, როგორც ფშავში, ლაშქრობა რელიგიურს კულტს შეადგენდა, გასალაშქრებლად საჭირო იყო განწმენდა —

> ემზადნეს შვიდ დღე-ღამესა,
> სიწმინდის ელვენ ცანიო...

ეს განწმენდა, „სიწმინდე“ გვიჩვენებს, რომ, ხალხის აზრით, ლაშქრობა ღვთიური საქმე იყო. როგორც ზემოდაც შევნიშნეთ, ასე სწამდათ ლაშქრობა ფშაველებსაც. ამ გვარს რწმენას, შეხედულობას იმათი გმირული პოეზიაც ამტკიცებს. თვითოეული გმირი მოვალე იყო ელოცნა „ლაშარში“, „ამხვეწოო“ მიერთმია „ლაშქრის ჯვარისათვის“...

ჩვენის მთიულების ზნე-ჩვეულება გვიჩვენებს, რომ ლაშქრობის ხატს,

## ფელეტონი

### აფხაზეთი და აფხაზნი*)

მიცვალებულის დატირება.

როდესაც მძიმე ავადმყოფია სოფელში, აფხაზები, განურჩევლად წლოვანებისა და სქესისა, იკრიბებიან ყოველ ღამ ავადმყოფის ოჯახში „ჯაფშარა“=ღამის სათევად; ღამეს ათევენ ავადმყოფის წინაშე სიმღერა-ცეკვაში, სხვა-და-სხვა ნაირ მასხრობა-ოხუნჯობაში. ამით, რასაკვირველია, სცდილობენ გაართონ ავადმყოფი და გაუადვილონ ტანჯვა-წვალების ატანა. ასე ათევენ ღამეებს ავადმყოფის მობრუნებამდე, ანუ გარდაცვალებამდე...

არა თუ ამავე სოფლის მცხოვრებნი, არამედ გარეშე სოფლებისაც, ვინც ცოტათი მაინც იცნობს ავადმყოფს, ვალდებულად რაცხს თავსა ნახოს იგი. მნახველი დგება ავადმყოფის წინ და ეკითხება: „როგორა ხარ?“ ავადმყოფიც, თუ ცნობა და გრძნობა დაკარგული არა აქვს, უპასუხებს: „ვკვდები“, ანუ „ისევე ვარ“ და სხ., რის შემდეგ სტუმარი ანუგეშებს. წასვლის დროს მნახველი ხელ-ახლავ მიდის ავადმყოფთან, თავზედ ხელს დაადებს და ეუბნება: „ღმერთმა გულის სიკეთე, ჯან-მრთელობა მოგანიჭოს, ანუ ღმერთმა მოგაბრუნოსო“.

ავადმყოფის მნახველი, ყველა ღამის მთეველი და სხ., აძლევს ავადმყოფს საექიმო რჩევას, მაგრამ ვერც იმათმა „კონსულტაციამ“, ვერც მნახველთა ლოცვა-კურთხევამ, ვერც დედაბრის წამლებმა და იმისმა შელოცვა-შებერვამ და სხვამ, ვსთქვათ, ვერა უშველა-რა ავადმყოფს და იგი ბუნების კანონისამებრ გარდაიცვალა.

ჯერ კიდევ სრულად არ გამქრალა სიცოცხლე, როცა იმართება დედაკაცთა საშინელი თავს ზარ დამცემი კივილი, რომელიც მთელს არე-მარეს ატყობინებს ავადმყოფის გარდაცვალებას. ამ კივილთანა და ტირილთან ისინი ლოყას იღადრიან, გულსა და კისერზე ტყავს იგლეჯენ, ასე რომ სისხლი და ცრემლი ერთად ჩამოსდით სახეზე. თავ-ფეხ შიშველა, გამწარებულნი და გარე ჯიანებულნი აქეთ-იქით დაიარებიან და თავს ახლიან კედელს, კარებს, ანუ სხვა რამ მაგარს საგნებსა. მამაკაცებიც შუბლსა და გულზედ ხელს იცემენ და მწარედ ბღავიან. ამ სცენის მაყურებელი, ვინც მიცვალებულის ნათესავი არ არის, რასაკვირველია, სცდილობს შეაკავოს მომტირალნი, მაგრამ ხშირად რამდენიმე კაციც ვერ დაიმაგრებს ხოლმე გაშმაგებულს ქალსა: იგი მაინც ხელებიდგან უსხლტება, რაც ძალა და ღონე აქვს თავს ახლის რასმე და იქვე გონება-დაკარგული და გულ-შემოყრილი ეცემა მიწაზე

ბევრი მაგალითი ყოფილა, რომ წრეზე გადასულის თავის გვემით ცოცხალიც ზედ დაჰკვდომოდეს მკვდარსა...

რამდენისამე ხნის შემდეგ, როდესაც ჭირისუფალნი და ნათესავნი გონზე მოვლენ, ამ ოჯახის მოკეთენი იმათთან ერთად მოილაპარაკებენ მიცვალებულის დასაფლავების დროსა და წესზე.

ჭირისუფლები, რომლებად გაზრდილებიც ითვლებიან, რაც შეიძლება ჩქარა იკერავენ სამგლოვიარო ტანისამოსს, ამასთან დროზე გზავნიან კაცსა მონათესავეთა, გამზრდელთა, მეგობრებთა და ნაცნობთა მოსაწვევად, რომლებიც უნდა მოვიდნენ, იტირონ მიცვალებული და ამით ანუგეშონ მწუხარე ოჯახი. იმავე სოფლის მცხოვრებნი მოუწვევლადაც ვალდებულად რაცხენ თავიანთს თავს მოვიდნენ და იტირონ მიცვალებული.

მიცვალებულსა, ანუ მიცვალებულის კუბოს უკან მწკრივად მოუსხდებიან ჭირისუფალი ქალები, შავებით შემოსილნი, თავ-ფეხ შიშველნი, ნახევრად დაბღლენილნი და სახე დაკაწრულნი; თავზე თმა გაშლილი აქვსთ. მეორე მხრით მოუდგებიან მოტირალნი. თვით ტირილი ამ წესითა ხდება. მაგალითად 4—5 ქალი მიდის სატირლად. რაკი მიცვალებულის ეზოში შემოვლენ, მორთავენ კივილს, „ავავ“-ის ძახილს. კივილის დროს თითებს თავზე მიიდებენ, საფეთქლების ზემოდ, და ჩამოატარებენ ლოყისაკენ ნიკაპამდე. ერთხელ „ავავ“-ის ძახილის გათავება და ერთხელვე თითების ნიკაპამდე ჩამოტარება ერთია. ამ ნაირადვე ამავე პასუხს იძლევიან შინიდამ ქალები. ამ ერთმანეთის ჩამორთმევაში მოსული ქალები ნელის ნაბიჯით უახლოვდებიან მიცვალებულსა და თანდათან ხმას უმაღლებენ. როდესაც შევლენ სახლში, სადაც მიცვალებული ასვენია, ტირილი ნამდვილ ტირილად იქცევა. მოუჯდებიან კუბოს, ტირიან მოთქმა-გოდებით და დიდხანს ცრემლებს აფრქვევენ... მამაკაცები-კი შუბლზე და გულზე ხელის ცემით შედიან, დაიჩოქებენ მიცვალებულის წინ და ისე დასტირიან; რამდენიმეჯერ შედიან და გამოდიან... სახლის მეორე განყოფილებაში დაგებულია ნიშანი, რომელსაც შეადგენს მიცვალებულის ტანისამოსი და იარაღეულობა. მიცვალებულის გვამთან ტირილის გათავების შემდეგ ნიშანზედაც ტირიან... ჩვენ არ მოვიხსენიებთ მისამძიმრებას, რომლის დასაწყისი შემდეგია: „ეს არ დაგმართოდეთ და ჩემი სიკვდილი გაგეგონათ“...

შესანიშნავია რომლისამე ახლო ნათესავისა და განსაკუთრებით მიცვალებულის ძიძასი, ანუ ძიძაშვილის (ქალის) მოსვლა, რომლებიც, სიშორისა, ანუ სხვა რამ მიზეზის გამო, სიკვდილს არ დასწრებიან. ესენი მთელის ვერსის სიშორეზე მორთავენ კივილს. ეზოში იმათ მიეგებებიან დაყენებული კაცები, რომელთა მოვალეობაა ხელი მოჰკიდონ და შეამაგრონ მტირალნი, რომ მეტის-მეტად თავი არ შეიწუხონ. ამის მიუხედავად მომტირალი მაინც ლოყასა და კისერს ხელით იგლეჯს და სისხლსა ღვრის, სახლის ერდოში სვეტსა ან კედელს თავს ახლის და ნახევრად გრძნობა-დაკარგული კუბოს წინ ეცემა და დიდხანს ცრემლებს აფრქვევს.

გამზრდელი და ძიძაშვილები მიცვალებულისა ხშირად განგებ ამ შემთხვევისათვის გაკეთებულ ტყავის შოლტს ირტყმენ თავსა და პირზე... ამ გვარად დასტირიან მიცვალებულს აფხაზები, როგორც დასაფლავების წინა დღეებში, ისე დასაფლავების დღესაც, როდესაც იქმნება საზოგადო და საყოველთაო ტირილი.

ამ დღეს, დატირვის გათავების შემდეგ, ღვინოთი, პურით და საჭარხოთი უმასპინძლდებიან შეგროვილ ხალხსა და დალამების დროზე ასაფლავებენ[1]) მკვდარს. მამაკაცის სა-

*) იხ. „ივერია“ № 175.

[1]) ოჯახის უფროსის განსვენების დროს ორი კაცი სახლის სართულზე გადაგლებულ ბაწარს ეწევიან აქეთ-იქით და ამით ვითომ სახლს იმაგრებენ, რომელიც თავისის უფროსის მოშორებისათანავე თითქოს დანძრევასა

ადგილობრივ მცხოვრებლებს გარდა, სხვებისათვისაც აქვს ძალა და მნიშვნელობა. მაგ. ხევსურეთში, ს. ხახმატს, სადაც ხატს ლაშქრობაც ეკითხვის, მლოცავები მიდიან ფშავ-თუშეთიდგან. რადა?—მიზეზი ცხადია: ლაშქრობის ხატი საყოველთაო ხატია ჩვენის მთიულისათვის. ყველა მთიულისათვის ლაშქრობა ღვთიურს საქმეს შეადგენდა და ამიტომაც თუშ-ფშავ-ხევსურნი ერთურთის „ლაშქრის ჯვარში“ დაიარებოდნენ. ლაშქრობა საერთო, საზოგადო მოვლენა იყო, «ლაშქრის ხატსაც» საზოგადო მნიშვნელობა ჰქონდა...

ამიტომ შეცდომაა ის აზრი, ვითომ თუშები ლაშქარში სალოცავად დაიარებიან მხოლოდ იმ დროიდგან, როცა იმათი ლაშქარი და გამოჩენილი გმირი გიორგი თილის ძე ფშაველებმა დაამარცხეს ს. ხოშარაში. თუშებმა ლაშარის-ჯვრის ძალა მხოლოდ მაშინ შეიგნესო... სრულებითაც არა! თილის ძე, ეს მშვილდ-ისრობის დროის გმირი, „ლაშარში“ სალოცავად მივიდა და «თეთრი ქორა ხარი» მიართვა ხატს, ფშაველებთან შესარიგებლად და ჯვარის წინ თავის მოსადრეკად კი არა,— გმირი ვალდებული იყო ყოველთვის ელოცნა და მსხვერპლი შეეწირა ლაშქრის ხატისათვის: ამას თვით ვაჟკაცობისა და ლაშქრობის ვითარება თხოულობდა. ზვარაკს „სამხვეწროდ“ მიყვანა ჩვეულება იყო. გულ-დიდს თილის ძეს თავ-მოსადრეკი და სახვეწარი არა ჰქონდა-რა ფშაველებთან. ეს თილის ძის სიტყვებიდგან სჩანს. ის ფშაველებს ეუბნება: ჯერ დამაცადეთ, გზა გავიდეს, ლაშქრობის ამინდი დადგეს და მაშინ გიჩვენებთ სეირსაო,—

ზოგ გავარიგოთ მაშინა,
როცა გამოვლენ მთანიო,

ვინ ჰდგეს მტერსა ახლოსა,
ვის უფრო სწრიდეს ხმალიო...

თქვენც დამეთანხმებით, რომ მუხლმოსადრეკად და შესარიგებლად მისული თუში ამ გვარად არ აქირახება, არ აიჩქამება ისეთს „მაღლის მთის შავარდნებს“, როგორნიც ფშაველები არიან. არა, როცა მთიულებში დაარსდა ლაშქრობა იმ აზრითა და ხასიათით, რომელიც ვუჩვენეთ, მაშინ გაჩნდა ლაშქრობის ცალკე ხატიც. იმ დროიდგან დაიწყეს კიდეც ერთურთის „ლაშქრის ხატებში“ სიარული სალოცავად.

მცირედი შენიშვნაც და კიდეც გავათავებთ. „ლაშქრის-ჯვრობა“, როგორც სოციოლოგიური დაწესებულება, ძველად ძველის დროის ნაყოფი უნდა იყოს. ქრისტიანული მას არა ეტყობა-რა და ეხლაც მთაში „ლაშქრის-ჯვრობა“ წარმართობისა და „კერპობის“ ნაშთს წარმოადგენს. შემდეგში, ქრისტიანობის გავრცელების დროს, „ლაშქარ-ჯვარობა“ წმიდა გიორგის ჩააბარეს, დაუსაკუთრეს— ხევსურეთში, მაგ., სადაც კი „ლაშქრის-ჯვარია“, იქ უეჭველად წმიდა გიორგის სახელზეა ხატი. თვით ფშავის „ლაშარიც“ ხომ წმ. გიორგის სახითა და სახელით მოქმედობს. ამისი მიზეზი ადვილად გასაგებია: წმ. გიორგი, ეკკლესიის შეხედულობით, ქრისტიანობის გმირია, მოლაშქრე. იგი სთრგუნავდა და ჰმუსრავდა ქრისტიანების მტრებს. მთიულებმაც ადვეს და ლაშქრობის გამგეობა წმ. გიორგის ჩააბარეს. ხახმატის წმ. გიორგი კაცს მკვლელებსაც კი თავიანთ მფარველად მიაჩნიათ. „სახვეწარი“ რომ მივართვა, მერე მტერს ჩავუსაფრდე და თოფი ვესროლო, მტერი ვერ დამინახავს, წმ. გიორგი შემეწევაო. აა სადამდინ მიაღწია მთის «ლაშქრის-ჯვრობამ»...

დიახ, ჩემო ბატონო, ფშავური „ლაშარის ჯვარი“ „ლაშქრობის-ჯვარია“ და არა ლაშა გიორგისაგან დაწესებული და დაარსებული ხატი.

ნ. ურბნელი

# ახალი ამბავი

*** ჩვენ მივიღეთ ქ. გუმბრიდგან ბ-ნ ილ. ხოსიტაშვილისაგან ოც-და-თოთხმეტი მანათი წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლისათვის გადასაცემად. ეს ფული შემოუწირავსთ:

| | | |
|---|---|---|
| ილ. ხოსიტაშვილს | 5 | მან. |
| მიხ. ქავთარაძეს | 1 | › |
| სანდრო შავერდოვს | 2 | › |
| სანდრო ნამორაძეს | 1 | › |
| ბესარიონ გაბაშვილს | 10 | › |
| ილ. კ. ნიჟარაძეს | 3 | › |
| თ. ს. მაყაშვილს | 3 | › |
| ლუარსაბ ნადირაძეს | 5 | › |
| ილიკო მესხელიშვილს | 3 | › |
| ნიკოლოოზ ანდრიას ძე მრევლიშვილს | 1 | › |
| სულ | 34 | › |

*** სოფ. კავთისხევიდგან გვწერენ, რომ მცხოვრებლები მეტად გაჭირებულნი არიან უექიმობის გამო. სოფ. კარგად მოზრდილია და არც აქ და არც ახლო-მახლო სოფლებში ვერც ექიმს იპოვით და ვერც ფერშალს. 17 აგვისტოს ერთის გაჭირებულის ავადმყოფის პატრონი გამწარებული დადიოდა და სკოლის მასწავლებელს ეხვეწებოდა, რომ ეგება ავადმყოფი ნახო, რამე შეატყო, წამალი გაუკეთო და ამით დაგვიხსნა გაჭირებისაგანაო. აბა მასწავლებელს რა უნდა ექნა! დრო არის ჰკუაში ჩავვარდეთ და ფერშალი მაინც დავიქირავოთ. რომ მოვინდომოთ, არამც თუ ფერშლის ხარჯს, არამედ ექიმისასაც-კი გავუძლებით, მით უფრო, რომ სხვა სოფლებიც მხარს მოგვცემენ. რაც ექიმისა და ფერშლისათვის ხარჯი დაგვჭირდება, ორი იმოდენა გვეხარჯება ეხლა ექიმების მოსაწვევად ქალაქებიდგან. ამას თუ სოფლის ექიმებისა და მკითხავების ხარჯიც დავუმატეთ, დავინახავთ, რომ საკუთარის ექიმის დაქირავება ერთიორად უფრო მოსახერხებელი და სასარგებლო იქნება.

*** ხიდ. სტეფან-წმინდაში (ყაზბეგი) ვანო შადურს, რომელმაც ორიოდე წელია, რაც ტფილისის სხელოსნო სასწავლებელში სწავლა დაასრულა, წარსულის თვის 30-ს, ღამის თორმეტს საათზე, შემდეგი უბედურება შემთხვევია. ვანოს მამას, ალექსანდრეს, დაპატიჟებული ჰყავნდა თურმე იმ ღამეს ვახშმად ორი სხვა კაცი. ქეიფი გაგრძელდა ქეიფს შემდეგ ერთი წავიდა და მეორე იქ დარჩა. ვანომ დააწვინა მამა და სტუმარი და თითონაც დააპირა დაწოლა. ამ დროს გარედგან შემოესმა ხმაურობა და თოფით გარეთ უნდა გამოცხვნდა, მაგრამ თოფს ფისტონი არა ჰქონდა; დაადო ფისტონი და ჩახმახი უნდოდა დაეშვა, ამ დროს თოფი გავარდა და თხუთმეტიოდე საფანტი გულის ფილაში მოხვდა ვანოს მამას, რომელიც ტახტზედ იწვა. ექიმები ჩქარა მოიყვანეს, მაგრამ ვერა უშველეს-რა და საბრალომ მეათე დღეს სული დალია. ვანო დუშეთის საპყრობილეში დაამწყვდიეს და საქმე სწარმოებს.

*** იქიდამვე გვწერენ, რომ ყვავილმა დიდი უბედურება დაჰმართა სტეფანწმინდელებსაო. ამ ავადმყოფობას ორმოცამდე კაცი უმსხვერპლია და ჯერაც ბოლო არ მოჰღებია.

*** გაზეთს „კავკაზს“ შეუტყვია, რომ ენკენისთვეში გამოვა ახალი ტომი «კავკასიის საარხეოგრაფიო აქტებისა».

*** იგივე გაზეთი გვატყობინებს, რომ ბ-ნს ერიცოვს განუზრახავს კავკასიის შესახებ რუსულს ენაზე დაწერილ თხზულებათა საბიბლიოგრაფიო სარჩევის შედგენა. ამ სარჩევში მოხსენებული იქნება ადგილობრივის მწერლობის ნაწარმოებნიც. როგორც გაზეთს შეუტყვია, სარჩევში მოხსენებული იქნება ოც-და-ათი ათასი თხზულება.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

დ. სურამი. ამ რამდენისამე დღის წინად ვინმე გიგო კარაპეტოვის დუქნის ბაღში ზურნით დრო და ქეიფი გაეტარებინათ რამდენსამე ყმაწვილს. როდესაც ცოტათი შექეიფიანდნენ ყმაწვილები, მოჰყვნენ ჩვეულებისამებრ ერთი-ერთმანეთის კილვასა და კიცხვას; ამას მოჰყვა აყალმაყალი და ხმა-მაღლა ლაპარაკი, ასე რომ ზოგიერთებმა პრიალა ხანჯლებიც იშიშვლეს, მაგრამ უბედურება არა მომხდარა-რა.

ეს ამბავი მთელს სურამს მოედო. ამ ლაპარაკს უბედურებაც მოჰყვა.

ჩვიდმეტს აგვისტოს, ღამის რვა საათზე, ბ-ნს ლუარსაბ ქაიხოსროვს მის ყმაფიანს ისაკა ასატუროვის სასტუმროსა და ბ-ნ ყარამან გარსევანის მის მაჭავარიანის სახლებს შუა „შარაბანი“ (ეტლი)

---

მარცს აფხაზები ამოსთხრიან ხოლმე წელამდე, დედაკაცისას უფრო მეტსა, თითქმის იღლიამდე[2]). მიცვალებულის ჩასვენების შემდეგ სამარეს ფიცრებით ისე ამოაკეთებენ, რომ მკვდარს მიწა ზევიდამ არ დაეყაროს. მიწას მოაყრიან ფიცრებსა და, როდესაც ფიცრები ჩალპება, საფლავიც ჩავარდება დაბლა. აქ მეტი არ იქმნება ორიოდე სიტყვა ვთქვა აფხაზების სასაფლაოებზე. აფხაზეთში სოფელს დანიშნული სასაფლაო არა აქვს და არც ეკკლესიასთან ასაფლავებენ მიცვალებულებს. ყველა გვარეულობას აქვს თავისი საკუთარი სასაფლაო. სასაფლაოდ ამორჩეულია, სადაც ეს შესაძლებელია, უფრო მაღლობი ადგილი, ბორცვი და ყოველთვის ისეთი, რომელსაც საზოგადო გზა უვლის. აფხაზეთში მოგზაური ჰკვირდება იმ გარემოებით, რომ მდებარეობით უმშვენიერესი და პოეტურის სილამაზით შესანიშნავი ადგილები უსათუოდ სასაფლაოებს უჭირავსთ...

—

მგლოვიარობის საქმე ამით არა თავდება. დედა, ცოლი, ძიძა, ანუ ამისი ქალები წარმოადგენენ მეტად სამწუხარო სანახაობას. იგინი შავებშემოსილნი, ფეხ-შიშველა დილა-საღამოს დაიარებიან საფლავზე სატირლად; ტირილში ისეთ მწარე და გულსათუთქ სიტყვებს ჩაურთავენ, რომ კაცს უნებურად ცრემლებს მოჰგვრის. მოთქმით ტირილში ქალები ესაუბრებიან მკვდარსა, ვითა ცოცხალს: მოუთხრობენ თავისს თავ-გადასავალს და გაჭირებას; სთხოვენ რაიმე სიტყვა გადასცეს სხვა მიცვალებულს, არიგებენ შესაფერის პატივით მოეპყრან „ბატონებს“, მაგალითად უწინ გარდაცვალებულ „გაზრდილებს“; ეკითხებიან ანუ ნება-რთვას სთხოვენ სხვა-და-სხვა საქმეებზე და პასუხსაც ნამდვილად მიელიან სულის გამოცხადებით, სიზმრებში, ან სხვაფრივ. ასე გრძელდება „ორმოცამდე“, ანუ უკეთ „შაბათის რიგამდე“.

ამ დრომდე აწყვია სახლში ნიშანი და თუ ისეთი კაცი მოვიდა, რომელსაც არ უტირნია მიცვალებული, ატირებენ ნიშანზე ცალკე და საფლავზე ცალკე. ამ დრომდე—და ხშირად მთელის წლის განმავლობაში—აფხაზები მიცვალებულისათვის იმის ჯერს სასმელ-საჭმელს ყოველ ვახშამ-სადილობის დროს სდგმენ ცალკე სუფრაზე.

მეორმოცე დღეს, ანუ გარდაცვალების შემდეგ ერთ-ერთს შაბათს, მიცვალებულს უკეთებენ „შაბათის რიგსა“, ცხვარსა და სხვა სახსნილოს. ამ დღეს მიცვალებულის ჭირისუფლებს, რომლებიც მარხულობდნენ, აჭმევენ სახსნილოს, ზოგნი-კი (მაგალითად დედა, ძიძა) მთელის წლის განმავლობაშიაც მარხულობენ. ისიც მოხდება ხოლმე, რომ სანამ ვინმე მარხულობს ერთის მიცვალებულის სამგლოვიაროდ, ამასობაში მოუკვდება მეორეც, რომლისათვისაც ცალკე შავს იცვამს და მარხვასაც იწყებს. ამ სახით არა ერთსა და ორს დედასა და ძიძას გაუტარებია ზედი-ზედ რამდენიმე წელიწადი ნიადაგ მარხვაში.

ტირილის გარდა აფხაზები მიცვალებულზე ალაპს იხდიან. ეს მეორე ტირილი უფრო შესანიშნავია პირველზე. ამ შემთხვევისათვის ორ-სამ წილად მეტსა ხარჯავენ. აფხაზურად ამ მეორედ ტირილს ეძახიან „აფსხუვრა“. სიტყვა „აფსხუვრა“ რთული სიტყვაა და შემდგარია სამის სიტყვისაგან; 1, აფს—სული, მკვდარი, მიცვალებული; 2, ხუ—ხვედრი, ჯერი, რიგი, წესი და 3, ზმნა. (ა) ვრა—კეთება, გაკეთება, შესრულება და სხვა. მაშასადამე, თვით სიტყვა „აფსხუვრა“ თარგმანში ნიშნავს: მიცვალებულის რიგის, ხვედრის ასრულებას. მართლაც აფხაზები სცდილობენ ამ დროს მიცვალებულის სულს არა დააკლონრა: ხარჯავენ ბევრს, ჰკლავენ ურიცხვს საკლავს, რომ სული დაკმაყოფილებული იყოს და არა მომდურავი... ასე რომ თუ ამ ალაპზე, „აფსხუვრაზე“ ყოველივე, ფული იყოს, გინდ საქონელი, რაც მიცვალებულს უფლებით ერგებოდა, არ დაიხარჯა, აფხაზს ეშინიან, რომ მომდურებელმა მკვდრის სულმა, არა თუ იმათ საქონელსა, არამედ თვად იმათაც არა ავნოს-რა. აუარებელი ხარჯი, შრომა და ჯაფა აფსხურვის დროს აიხსნება ამ რწმუნებით. ამას ჩვენ ქვემოთ უფრო ცხადად დავინახავთ.

აფხაზები მიცვალებულზე ალაპს იხდიან მეორე წელიწადს, უფრო ხშირად შემოდგომაზე, როდესაც სასმელ-საჭმელი ყველგან უხვად არის. დაინიშნება თუ არა დრო, ჭირისუფლები აცნობებენ მონათესავეთა, რომ დანიშნულს დროზე მოვიდნენ და იტირონ მიცვალებული. თუ ჭირისუფლები აპირობენ ალაპზე მარულაც (დოღი) გამართონ, ამასაც ატყობინებენ; ვისაც მარულად ცხენები ჰყავს გამოწყობილი, მოიყვანეთო. აღნიშნულს დრომდე მასპინძლები მზადებაში არიან, რომ ღვინო, საკლავები, თუ სხვა ხორაგეულობა საკმაოდ შეაგროვონ. აფსხურვას წინა საღამოთი დაადგმენ ნიშანსა (ცალკე კარავში, ანუ გადახურულში, თუ დიდი ალაპია), აქვე ერთის მხრით მიაბმენ მიცვალებულის შეკაზმულს ცხენს, სამგლოვიარო შავით გარდაფენილს; ამ ცხენის უნაგირზე გადაკიდებულია იარაღი მიცვალებულისა: თოფი, დამბაჩა, ხანჯალი, ხმალი, მათრახი და სხ.

ამის გამოწყობის შემდეგ ჭირისუფლები ჩამოიტირებენ საფლავსა და ნიშანზე. ამათის ტირილის გაგონებაზე ახლო ნათესავებიცა და შორეულებიც მოდიან სატირლად. აი ეს სურათიც. თქვენ ჰხედავთ რამდენსამე კაცს ორისავე სქესისას, სამგლოვიარო ტანისამოსში, ფეხ-შიშვლას და თმა-გაშლილს. მამაკაცებიც ნათესავის სიკვდილის გამო ჯერ მოიპარსევენ თავზე თმას და შემდეგ გამოუშვებენ და, როგორც დედაკაცნი, დაიარებიან დაწნულის თმით. ფეხით თუ ცხენით მომავალთა მოჰყავთ ერთი ანუ ორი ხარი, ვის რა ერგება და შეუძლია, შავით გარდაფენილი, ერთი ანუ რამდენიმე საკლავი ცხვარი. მოაქვთ სხვა-და-სხვა ტკბილეულობა, თაფლსა და ერბოში გაკეთებულები, მაწონი და სხ[3]) ერთს მათგანს უჭირავს კელაპტარი, რომელიც წარმოადგენს ხეს, ზედ აკრავს მიტკალი მწვანეთ შეღებილ, დამდნარს წმიდა სანთელში ამოვლებული; ამ ჯოხს აქა-იქ მიკეთებული აქვს უფრო წვრილი ჯოხები, ამ ნაირადვე გადაკრული, და წარმოადგენს ხის შტოთა მსგავსებას. ამ შტოების წვერზე მიბმულია სხვა-და-სხვა ფრის მატერიის ნაჭრები, რომელიც, როგორც ხის ფოთლები, უბრალო ნიავის ქროლის დროსაც ირხევიან აქეთ-იქით... თუ ღამითაა მოსვლა, მაშინ ამ კელაპტარზე რამდენსამე ალაგას მიკრულ სანთლებს უკიდია, აგრეთვე ხარების ორთავე რქებზე მიკრულსაც ანთებენ.

ამ სახით ზარის თქმითა და ნელის ნაბიჯით ეს მწუხარე პროცესია შემოდის ეზოში, სადაც იმას მიეგებებიან წესისამებრ. აქ კი ქალები ჩვეულებრივად რიგზე დაიწყებენ ტირილს, ხოლო მამაკაცნი თავისის წესით. საზოგადოდ ალაპზედაც თვით ტირილის წესი ისეთივეა, როგორც ზემოთ ავწერეთ.

—

და დანგრევას ლამობს. მიცვალებულის განსვენების შემდეგ რაკი სახლს არა დაუშავებდა-რა, მაშინ გაისვრიან თოფსა ნიშნად სიხარულისა. ეს ჩვეულება დღემდის დარჩენილი ბევრგან მეგრელებ შორის და ჩვენ აფხაზებშიაც ვპოვეთ.

[2]) ზოგიერთ აფხაზების აზრით, ეს იმიტომ, რომ ქალი საზოგადოდ ვერაგი და მზაკვარია (ჰაივან). ერთი აფხაზური ანდაზა ამბობს: რაც გულში გაქვს, ცოლს არ გაუმჟღავნოო; საშიშია, რომ სამარიდანაც არ ამოძვრეს რაიმე მანქანების ძალით და ამიტომ მიცვალებულს ქალს მეტი მიწა უნდა დაეყაროსო. ზოგნი ამას იმითი ხსნიან, რომ მკვდართა აღდგომის დღეს ქალებს, როცა წამოდგებიან, ძუძუები არ გამოუჩნდეს და არ შერცხვენო.

[3]) ყველა ამათ საერთოდ (საზოგადოდ სულის დასაკლავს და სხვა შესაწირავს) აფხაზურად ჰქვიან „აფსათატ“=„სულის მისაცემი“.

დაუყენებია. ლუარსაბ ყიფიანის ეტლს ფარნები არა ჰქონდა. ყიფიანი თავისის ცოლით წასვლას აპირებდა სოფ. ქვიშხეთში. რადგანაც ეტლის ფარნებს მგულებოდა ბ-ნ ყ. მაჭავარიანსა, ამიტომ ლ. ყიფიანმა დააყენა ეტლი იმის სახლის პირდაპირ, ჩამოხტა მირს და შეგზავნა სახლში ერთი პატარა ყმაწვილი ფარნების სათხოვნელად. ბიჭმა დაიგვიანა და ყიფიანმა ვიღაც თავისი ნაცნობი შეგზავნა ხელ-მეორედ ფარნებისათვის. სანამ ფარნებს გამოიტანდნენ, კარგა დრო გავიდა და ეტლის გარშემო თავი მოიყარეს ზოგიერთმა ახალგაზდებმა. სხვათა შორის მოვიდა ლუარსაბ ყიფიანის ძმა, მ. ყ—ნი; ყარამან მაჭავარიანის სახლიდგანაც გამოვიდა ყარამანის ძმა სარდიონ, ღვინით შექეიფიანებული; ლუარსაბს გამარჯობა უთხრა და მივიდა ეტლთან. სარდიონ მაჭავარიანი და მიხეილ ყიფიანი ერთიერთმანეთს ვერ იცნობდნენ. სარდიონ მაჭავარიანმა მოსვლის უმალვე ცუდის, უზრდელის სიტყვებით მოიხსენია ის ყმაწვილები, რომლებსაც იმ დღეს დრო გაეტარებინათ გიგო კარაპეტოვის ბაღში. ამ უზრდელს სიტყვაზედ მ. ყ—ნს რიგიანი პასუხი მიეცა იმ გალანძღულ ყმაწვილების მაგივრად; მ. ყიფიანის პასუხს კიდევ პასუხი დართვია სარდიონ მაჭავარიანისაგან და ასე და ამ ნაირად საქმე გინებასა და ლანძღვაზედ მისულა. ამ დროს ლუარსაბ ყიფიანი, რომელიც შორი-ახლო იდგა და ფარნებს უცდიდა, მიბრუნდა და მგინარა სარდიონ მაჭავარიანს უთხრა: „რა არის, კაცო, რა დაგემართა, რას აგინებ მაგ კაცსა, მაგის დედ-მამა ხომ ჩემი დედ მამა არის, არა გრცხვენიაო?“ სანამ ლუარსაბ ყიფიანი მივიდოდა და გააშველებდა ამის ძმასა და სარდიონ მაჭავარიანს, ამათ ერთმანეთისათვის სილები გაურტყამთ. ლ. ყ—ნმა ყ. მაჭავარიანის ცოლის თხოვნით, რომელიც ბალკონზედ იდგა, გააშველა და დააწყნარა მოჩხუბარნი. ლუარსაბ ყიფიანი აქეთ წამოვიდა და სარდიონ მაჭავარიანი რძლითურთ სახლში შევიდა. შევა თუ არა თურმე ეს საწყალი სახლში, ჩამოიღებს კედლიდგან ვერცხლით მოჭედილს ხმალსა, შეშინებული რძალი ხელს მოჰკიდებს მაზლსა და ემუდარება, ნუ მიდიხარ გარეთ ხმლითაო. ამ ხვეწნის დროს გაჯავრებული დაუყვირებს რძალსა და ეტყვის: „გამიშვი, თორემ შენ დაგჩეხო“. რძალი ყვირილით მოსდევს გარეთ. სარ. მაჭავ. ჩამოვა თუ არა კიბეზედ, ხმალ-ამოღებული მიდის მ. ყიფიანისაკენ, მაგრამ გზაში შეხვდება ლ. ყიფიანი. სარდიონ მაჭავარიანმა ლუარსაბ ყიფიანს ხმალი მოუქნია, მაგრამ ვერ მოარტყა... მეორესაც რო მოუქნევს, ლუარსაბ ყიფიანიც ხანჯალს მიაშველებს, მაგრამ ტყუილად: ხმალი მოხვდება მარცხენა ნიდაყვზედ და ძლიერ დაიჭრება. ამით გაბოროტებულ-გაცეცხლებული ლ. ყ—ნი წელში შეუვარდება ს. მ—ნს და არ ახსოვს რასა სცემს და ვისა სჭრის. დამე, ყმაწვილები შორიდგან უცქერიან, მაგრამ შველით-კი ვერა ჰშველიან. მეომარნი, რომლებსაც დასუსტდნენ, თვითონვე გაშველდნენ. ძლიერ დაჭრილი ს. მ—ნი იქვე, სახლის ეზოს სასხლოვეს თხრილში გადავარდა; ლუარსაბ ყიფიანი-კი მარცხენა კლავ-ჩამოგდებული სასტუმროსკენ წამოიყვანეს. ამ დროს ს. მაჭავარიანი უცბად ზეზე წამოხტება და თავისის სახლის კიბეს შეუდგება. ავა თუ არა კიბეზედ, სისხლი ჭრილობებიდგან ტანისამოსში გამოატანს და მოაწყვავს მთელს დერეფანსა და დერეფნის მოხარატებულს რიკულსა. შემდეგ შევა პატარა მისავალს ოთახში, აქ თავს ბრუ დაეხვევა, კედელს მიარტყავს თავს, მერე, როგორც იქნება, გაჭირვებით შევა სასტუმროს დიდს ოთახში და აქ იატაკზედ წაიქცევა და გული შემოუვლება. მოასულიერებენ, საუნებენ და დიდს დასაჯდომს სკამზედ მასწვენენ.

როგორც აღმოჩნდა, ჭრილობა სარდიონ მაჭავარიანს ხუთგანა ჰქონდა: მუცელი სიგანით ჰქონდა გაჭრილი, ყელი ყნურატმდან გაჩეხილი, მესამე დაჭრილობა ჰქონდა თავში, მეოთხე გვერდში და მეხუთეც ბარძაყში...

ეს უბედურება აგვისტოს ჩვიდმეტს, საღამოს რვა საათზედ, მოხდა. ამ დროდამ გავიდა სწორედ თორმეტი საათი და, გათენდა თუ არა, დილის ცხრის ნახევარზე გამოეთხოვა ამ წუთი-სოფელს ს. მ—ნი... ამ უბედურს ორის თვის ჯვარ-დაწერილი ცოლი დარჩა.

დაჭრილს ლუარსაბ ყიფიანს ექიმები სწამლობენ და დარწმუნებით ამბობენ, რომ მკლავი უეჭველად გაუფუჭდებაო.

ეს უბედურება საჩქაროზედ შეიტყო სურამის ბოქაულის თანაშემწემ, ბ-ნმა არ. სალარიძემ, და მამასახლისმა ქიმერიძემ, სასწრაფოდ ნახეს ექიმები და ყოველივე აცნობეს გამომძიებელს.

## უცხოეთი

გერმანია. ბ-ნის კრისპის ფრიდრიხსრუეში მისვლის გამო „Kölnische Zeitung“-ის ბერლინელი კორესპონდენტი სწერს:

„ეს კრისპის ფრიდრიხსრუეში მოსვლა რომ ბევრს ემწვავა და ეწყინა, ამას, რასაკვირველია, ეჭვი არა აქვს. საფრანგეთს, რომელიც გერმანიის მტრობას ვერ მოიშლებს, ვერ დაიცხრობს გულში, რუსეთთან შეკავშირებული ეგონა თავი, მაგრამ იტალია ავსტრი-გერმანიის კავშირს შეუერთდა და ამის გამო საფრანგეთს იმედი გაუცრუვდა. რუსეთმა იმედი დაჰკარგა, რომ ძლიერებით საფრანგეთ-რუსეთი გადააჭარბებს გერმანიასა და იმისს მომხრეებს და ამიტომ განზე გადგა. ამას შემდეგ, რაც კრისპიმ გერმანიის ინტერესების თანახმად ერთგული მოქმედება დაიწყო, ფრანგებმა თვით თ. ბისმარკზედაც-კი მეტად შეიძულეს ხოლო მარტო ფრანგებს არ ეცათ გულს ლახვრად კრისპისა და ბისმარკის დაახლოვება, ამასთანავე არც სასიამოვნო გავლენა იქონია ამ თანხმობამ ორის სახელმწიფოს, კაცისამ ვატიკანზედაც, სადაც იმედი ჰქონდათ, რომ გერმანია პაპის მხარეს დაიჭერდა და წმინდა მამას გამოესარჩლებოდა. იტალია და გერმანია ისე მჭიდროდ არიან ერთმანეთთან შეერთებული და შეკავშირებული, რომ ძალიან შესცდება, ვინც იფიქრებს, ვითომ კრისპი ამ ორთა სახელმწიფოთა კავშირის შესახებ მოსალაპარაკებლად მოსულიყოს ფრიდრიხსრუეში, რადგანაც კავშირის შესახები წვრილმანობა დიდი ხანია მოლაპარაკებულიც არის და გადაწყვეტილიც. კრისპის მოსვლას ჩვენში მეგობრული, კერძო ხასიათი აქვს, თუმცა ისიც შეიძლება, რომ ორმა სახელმწიფო მოღვაწემ ერთმანეთს თავისი აზრები და შეხედულებანი გაანდონ პოლიტიკის შესახებ. კრისპის ფრიდრიხსრუეში მოსვლამ ყველას აშკარად დაანახვა, რომ გერმანიას მოკავშირენი ძალიან ერთგულად უდგანან მხარში“.

ოსმალეთი. სტამბოლში სამინისტროს კრიზისს მოელიან, რომლის დაწყებასაც მხოლოდ ბაირამის დღესასწაული უშლის. ქიამილ-ფაშა, რომლის გადაყენებასაც დღე-დღეზედ ელიან, ორს წელიწადზედ მეტია დიდის ვეზირის თანამდებობას ასრულებს. ქიამილ-ფაშას დასი რუსეთის გავლენას უფრთხის და დასავლეთის სახელმწიფოებს უფრო ეკრძალება. იმისი პოლიტიკა განსაკუთრებით იმას შეიცავს, რომ არაფერს აკეთებს, ბოლგარია თავისა თვისისათვის მიუნებებია, დრო-გამოშვებით აფრთხილებს, ევროპას ყოველსავე უთმობს და წინააღმდეგობას არ უწევს. ასეთი პოლიტიკა ადვილად ასახსნელია იმისთანა ქვეყანაში, როგორიც ოსმალეთია, და იმ ყოფაში, რა ყოფაშიაც ოსმალეთია დაყენებული ევროპის მეტოქე სახელმწიფოთა მიერ. ამბობენ, რომ სულთანს მოჰბეზრდა პოლიტიკა ლოდინისა და მოუქმედელობისა და დიდ ვეზირად უფრო მხნე და არა-ქიამილისებური კაცი უნდაო. ამიტომ უცდიათ საიდ-ფაშის, ერთხელ ნადიდ-ვეზირალის, გადმობირება, მაგრამ იმას პირობად დაუდვია, რომ სრული თავისუფლება უნდა მომეცეს მოქმედებისა და სულთანი-კი ამაზედ არ დათანხმებულა. არიფი-ფაშას, სახელმწიფო რჩევის პრეზიდენტს, უარი უთქვამს ამ თანამდებობაზედ იმ მიზეზით, რომ ჯან-სუსტი ვარო. როგორც სჩანს, ოსმალეთში აღარავინ ეტანება და აღარავის ეხარბება დიდის ვეზირის თანამდებობას ეხლა, როცა ბოლგარიის საქმის გამწვავებას დღე-დღეზედ მოელიან და როცა ფინანსების მხრივ ოსმალეთი ძალიან გაჭირვებულია. ამბობენ აგრეთვე, რომ აკოფ-ეფენდიმ უკვე სთხოვა სულთანს გამანთავისუფლე ფინანსთა სამინისტროს გამგეს თანამდებობისაგან, რადგან სახელმწიფო ხარჯს ვერ ვუძლევები სამხედრო მინისტრის ალი-საიბისა და ზღვათა ჰასან-ფაშას არა წესიერ მოქმედების გამოო. ამ მიზეზთა გამო ქიამილ-ფაშას მოადგილედ ეხლანდელს შინა-

---

წინა ღამეს ჰკლავენ საკლავებს, როგორც მოყვანილებს, ისე მასპინძლისაგან დამზადებულებს და დაკვლის დროს ამბობენ: „ეძლევის სულსა შენსა“. მეორე დღესაც, როდესაც ნამდვილი ალაპია, ამ ნაირადვე მოდიან ნათესავები. ამ დღეს დასტირიან მიცვალებულსა, გარდა მონათესავეთა, მეგობრები, მეზობლები, ნაცნობნი და სულ გარეშენიც-კი, რომელნიც მოდიან მხოლოდ დროს გასატარებლად, რადგან, როგორც დაინახეთ, „აფსხუერას“ უფრო სამხიარულო ხასიათი აქვს, ვიდრე სამგლოვიარო. ამ ნაირად, გროვდება დიდ-ძალი ხალხი. როდესაც მეტს მომტირალს აღარავის მოელიან, შუადღის დროზე მოჰხსნიან ცხენს, რომელზედაც, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, გადაკიდებულია მიცვალებულის იარაღი, დაიჭერს ვინმე მგლოვიარე ჭირისუფალი და დგება მინდორზედ; ირგვლივ შემოერტყმიან ერთის მხრით მამაკაცნი და მეორეს მხრით დედაკაცნი. ჭირისუფალი წრის შიგნით ირგვლივ სამჯერ შემოატარებს ცხენსა, რომელსაც უკან მოსდევენ ჭირისუფალი ქალები და კაცები შავებში შემოსილნი, თავ-ფეხშიშველა თმებითა და მწარე ტირილით; მამაკაცები გულსა და პირზედ ხელს იცემენ; ურიცხვი ქალები, რომლებიც, როგორც ეხლა ვსთქვით, წრის ნახევარს შეადგენენ, ორად განიყოფებიან და ჩამორთმევით ამბობენ „ავაეს“. ეს ცერემონია მანამდე გაგრძელდება, სანამ ცხენს წრიდამ არ წაიყვანენ. ცხენი გაჰყავთ წრიდგან და ეს იმასა ჰნიშნავს, რომ იკარგება უკანასკნელი ნიშანი და სიმბოლო მიცვალებულისა, თვით მიცვალებული, რომელიც აქ თითქოს უხილავად იმყოფებოდა; ამიტომ კივილი, გოდება და მწუხარება ჭირისუფალთა აღის უმაღლესს წერტილამდე. ამ სცენის დასრულების შემდეგ დაიწყება მეორე, რომელსაც ნამდვილი სალხინო და სამხიარულო ხასიათი აქვს და არა სამგლოვიარო, როგორც პირველსა ჰქონდა.

ცის ქვეშ სუფრაზე დააწყობენ ხორცსა, სხვა-და-სხვა გვარს პურსა, ღვინოსა და ხილეულობას. აქ თქვენ დაინახავთ სხვა-და-სხვა ფორმისა და გემოვნების საჭმელებს: ჰხედავთ ყველისაგან გამოჭრილს სტაქნებს, კოვზსა, სათითურსა და სხვას; აქვე იქნება დადგმული ყველა შემოსილი კელაპტრები. როდესაც მღვდელი ასრულებს თავისს რიგსა და აკურთხებს ამას (უმღვდელობა ამ შემთხვევაში მაინცა და მაინც არავითარს დანაკლისს არ შეადგენს, საკმაოა ოჯახის უფროსმა მიცვალებულის სულს მიჰმართოს შესაფერის სიტყვით და თხოვნითა, რასაც ქვემოთ დაინახავთ), დასხმენ შეგროვილს ხალხს გარდახურულში (ანუ ცის ქვეშ, ჩრდილოში) და სადილს აჭმევენ.

ამოდენა ხალხის პატივის ცემა ადვილი არ არის, მაგრამ აფხაზებმა ერთმანეთის შემწეობა იციან; არა თუ მეზობლები, მონათესავენი, გაზრდილნი იმ ოჯახისა მსახურობენ და თავდარიგს იძლევიან, არამედ მთლად იმ სოფლის მცხოვრებნი მასპინძლებად ითვლებიან, ემსახურებიან და პატივსა სცემენ შორეულებსა და გარეშე სოფლელებსა. გაზრდილი ამ ოჯახისა, ანუ გვარეულობისა თვითონაც მსახურობს და ტრიალებს, როგორც უკანასკნელი მოსამსახურე. სხვა-და-სხვა საჭმელების შემდეგ მოაქვსთ სუფრაზე რძეში მოხარშული ბრინჯი, თაფლითა და მაწონით.

ნასადილევს ცხენოსნები იწყებენ ცხენით თამაშს, რომელიც ბევრად წააგავს საშუალო საუკუნოების ევროპიელ რაინდთა ტურნირებს... მშვენიერის სქესის წარმომადგენელთაგან გატენილია სახლის აივანი (თუ აივანიანია სახლი), ანუ ფაცხას დერეფანი. ახალგაზდა ცხენოსნები, იმათ წინაშე შეჯგუფებულნი, სცდილობენ გამოიჩინონ სიტყვა-პასუხი მოსწრებულის ლაპარაკით, ხოლო ცხენოსნობით—ვაჟკაცობა. აქ არა ერთხელ ვარდება ახალგაზდა ქალ-ვაჟთა გულში პირველი ნაპერწკალი სიყვარულისა. უმთავრესი ცხენით თამაში „თარჩეია“ შემდეგში მდგომარეობს: ერთი რომელიმე ცხენოსანი ღებულობს მასპინძლებისაგან, და არა იშვიათად „უმშვენიერესის ქალის ხელიდგან“, ჩითის ნაჭრებს, შეკერილს წუღებს, აკინძულს წაბლსა ანუ მსგავს რასმეს და მიიღებს, თუ არა „თარჩეის“, გააჭენებს ცხენს; სხვები იმას გამოეკიდებიან, რომ შეაჩერონ და გამოართვან „თარჩეი“, მაგრამ პირველი, წინ მრბენი ცხენის განდაგან, აქეთ-იქით ტრიალით სცდილობს თავი არ დააჭერინოს. უკანა მდევნელნიც თავისის მხრით სცდილობენ ცხენებს გამოაჩენინონ მთელი თავისი ძალ-ღონე და როგორმე მოეწიონ. ამასობაში გაისმის მათრახების საშინელი ტკაცა-ტკუცი. ცხენოსანი, თუ დაიჭირეს, მაშინ „თარჩეის“ დამჭერს აძლევს და ეხლა ამას გამოეკიდებიან; თუ ვერ დაიჭირეს, მაშინ იგი ბრუნდება, საიდამაც გამოიქცა, გამარჯვებულიც არის და დარწმუნებულია კიდეც, რომ უმშვენიერესის ქალების ყურადღებაც მიიპყრო. შემდეგ „თარჩეი“ მიაქვსთ სხვებს. სულ ყველა მოთამაშენი რომ ერთს გამოეკიდებოდნენ, მაშინ ესეთი თამაში შეუძლებელი იქმნებოდა, მაგრამ მოთამაშე ბევრია, „თარჩეი“ დააქვსთ ცალ-ცალკე და როდესაც ერთნი დაიღლებიან, სხვები თამაშობენ. ალაპზედ სხვა ნაირადაც თამაშობენ ცხენით აფხაზები: ცხენების ერთი მეორის დაჯახება, ცხენის უკანა ფეხებზედ შეყენება, გაჭენებულის ცხენიდგან თეთრის ფულის მიწიდგან აღება და სხ. ნიშანში სროლაც იციან.

ალაპზე აფხაზეთში ხშირად იმართება მარულა (დოღი). თუ ალაპი დიდია, მაშინ წინა დღეს იქნება ეგრედ წოდებული ლაფშების, ე. ი. გამოუწყობელ ცხენის ჭენება; ხოლო მეორე დღეს იმართება ნამდვილი მარულა გამოწყობილ ცხენებისა, რომლებსაც აფხაზები ამზადებენ მთელი ორი თვეე. დაინიშნება თუ არა მანძილი ჭენებისა და მისაცემი (აფხაზები საჩუქრად იძლევიან მომაკვდავის ცხენსა, ანუ სხვა საქონელს, ან რამრენსამე „ხაკ“ ე. ი. ალაბსა, ან წყრთა ჩითეულობას.), გამოჰყავთ მარულა ცხენი ზურგზე ნაბად ანუ წითელ მაუდ გადაფარებული. შემოიკრიბებიან ერთად ყველა ამას მომხრენი და ზარის თქმით, დამბაჩების სროლით გასწევენ აღნიშნულს ადგილს. მარულაზე შემჯდომი 8—9 წლის ყმაწვილი, წითლად შემოსილი, ყაბალახ წელზე შემორტყმული, იქითობას ცხენის ზურგზე უკან შემოუდგება ვისმეს, მიდის და საშინლად გაჰკივის და წინასწარმეტყველობს, ჩემი მარულა გაიმარჯვებსო; ასე სხვებიც, მარულათა მომხრენი, ნახევარ ვერსის მანძილზე ერთი მეორისაგან ჩამოდგებიან გზის პირზე. როდესაც დაღლილი გამოქცეული მარულა ცხენი მოაღწევს პირველამდე, ეს აღვირს მხრებზედ გაუგდებს და თავისსი ჯერ დაუღალავის ძლიერის ცხენით მიიყვანს მეორემდე და ამას ჩააბარებს, ესეც მესამეს და სხ. პირველად მოსვლის დამბაჩების სროლით იხარებენ. ცხადია, პირველის ჯილდოს მოგება მარტო ცხენის თვისებასა და ვითარებაზე არ არის დამოკიდებული, არამედ მომხრეებზედაც. მარულას შემდეგ სალამოზე იქმნება ერთი უკანასკნელი და გაცხარებული თამაშობა, რის შემდეგ ხალხი იშლება. ჩვენის აწერილობიდგან ცხადია, რომ „აფშხუერას“ უფრო მხიარული ხასიათი აქვს და მართლაც აფხაზებს ეს მიაჩნიათ საუკეთესო დროს გასატარებლად, სადაც ყველა (ვისაც-კი მისვლა შეუძლიან) უპირველესს სასმელ-საჭმელს ღებულობს ზომიერად და არა გადაჭარბებით, როგორც ეს არის ლხინზე, და საუკეთესო თვალის სეირსაც ჰხედავს. აფხაზეთში შემოდგომის პირველი ნახევარი შესანიშნავია ალაპებით.

პ. გიორგიძე

(შემდეგი იქნება)

გან საქმეთა მინისტრს მუნირ-ფაშას ახახლეებენ. ის სამინისტრო, სამეგზროდ, უნდა ჩააბარონ რიზა-ფაშას, ხმირის ესნიდლის გუბერნატორს. უეჭელია ამ ცვლილებას, თუ მართლა ასე მოხდა, დიდი მნიშვნელობა ექნება. აქ ნუ დავივიწყებთ, რომ აბდულ-ჰამიდი მარტო სულთანი-კი არა, ამავე დროს თავისივე პირველი მინისტრიც არის და რომ ეგზარი არა ერთად ერთი გამგებელია მთელის სახელმწიფო საქმეებისა.

## წვრილი ამბები

გაზ. „Новости"-ში აგერეა ქრონიკში ერთი სასაცილო ამბავი დაბეჭდილი.

მოქმედება სწარმოებს ერთს აგარაკზე, ზეტერბურგს ახლო, სულ ორის საათის სასიარულოზედ ამ ქალაქიდან რკინის გზით. განკერძოებულ აგარაკზე ცხოვრობს ცოლ-ქმარი: ახალგაზდა, ცხოველი ცოლი და არა-ახალგაზდა, არა-ლამაზი ქმარი, სამსახურის საქმეებში გართული, რომელიც უმეტესს ნაწილს დროისას ქალაქში ატარებს და დღესასწაულ დღეებში ეწვევა ხოლმე მეუღლეს.

ქმარი ძალიან ეჭვიანობდა თავისს ცხოვრების თანამზარს და ამიტომ გარდასწყვიტა, რომ ყოველ ღამე იაროს ცოლთან; გარდასწყვიტა, მაგრამ არ შეატყობინა-კი, უნდოდა საიუშვიარით ესიამოვნებინა.

და აი, უცრად ერთს სამუშაო დღეს მიადგა აგარაკს. ცოლი გაეგებებულა და სიცილით დაიწყო უცნის, რომ აქ ქურდების შიში არ არისო. აივანზედ დამეზარა და ჩაის შეექცევიან. ფამფურის ღამის სასმელ ემზადა.

უცრად ქმარს კოვზი, რომელსაც ჩაის ურევდა, შეუჩერდა, თვალი გაუშტერდა და დაეშურილდა აივანის შუაშანს. სადამოს წყვდიადში გამოჩნდა ვიღაცა კაცის თავი. თავი რამდენჯერმე ხინს ადგა, როგორც გათეფებულიყოს და ზოლოს მიიმალა.

„— ქურდი! — წამოიძახა ქმარმა და შეიბყა: — აი რა გარეგიბ მოიქცეცი, რომ მოვეცეთ.

ცოლმა არასაინდ უპასუხა:

„— მოგეჩვენა თუ.

დამშვიდდა თუ არა ქმარი და მორე ჩაის მოეზუ ხელი, მორე მხრიდან გამოჩნდა ახლა სხვა თავი, შეეჯიფრმანისა. ქმარს აღარ მოთმინე თქმა ფრა მთხრეგარ „გოდე! ქურდი! მშველეთ!" რომ თავი მიიმალა. ცოლმა ხმა არ ამოიღო, მარტო მხრები აიწია.

დაძინებისას ქმარმა კარებს კლიტეები გულ-მოდგინედ დაათვალიერა. ღამე სადგომ-ოთახში გაიგონა ფრუდი, რომ ფანჯარას ვიღაცა აგახფენს, ხალთზ შეივდო თავის ბალიშში თოფი სავარის ნამზე და რეზონის ქალაქში იმოეს.

ამ დილით ქმარმა ცოლი ქალაქში წაიყვანა აგარაკ მეორე ქურდების შიში აღ ეხდა წასვლილის ავლაში, რომ, თუ მე არა, იგ საგრობიდა მარტოდ-მარტო საწყალი ქალი უშიშროდაო.

რეზონის ქალაქს — ამ გამომეტყველებას ხორს სახეთ გაასენეს მისთაჯებიდან ინძ ქმარი და მეუღლეში ახლინაბის საჯეროს ეკნებდა:

„— აჰა, ეხლა იცევი, რომ მოგვივიდა!

— ვარიათ, წასულია გვარამ, თვითი მოუბეტავნ ერთს მეუტლის და შეწვდა

ასარგებლე ანდრიამ დაუტოვეპას: „მე, ჟან ნიკე მენიდ, თავი მოვიკალი იმიტომ, რომ მემარი, რაც გულწრფელი ხმით. ჩემს სურთმან მარტისხ ჯიბეში გატოვებ 4 მანეთს ამ ქაღალდისთვის, რომელიც ჩემ საკუთარ დასასაფლავებს. ამ ფულის მანეთში ცასტოვალთ, რომ ზორ მულოდუფერს ბაცში წაიღონ ჩემი გვამი, ლუკამ-ლუკამ დასჩრილ და საწვძელიან დურიჯის მიცეთ — დობოსს, ვუგისუსა და დადრებულს. ძალიან გულით მიწერს, რომ ამ ზორნუტეგუ ჩემი ხორცი იქამინა", გამოლეულისებ და აღმოჩნდება, რომ ეგვნებსენდებ დროს თავისი მოგვლიან ამ მეტეური რამდენჯერმე სცდომმდა, ერთხელ ჩაწერა თავის გასემოეგ გარნდ-ზრახვაც, მაგრამ ნელად დარტყმულსათხუს გულ-წასული დაცემულ და ამის გამო ამ სასუშველის ვერა უშველის დამსახმებს ხმარეს უმეთაინედაა.

— ამას წინად ლონდონში ტეგიიბათი დამის ფოსტა და ამ მოსაზმელისთვის, რომლებიც დაეფუნებულის და გადიდეფრდედი მოწერ-მოწერა უნდა გაეზნავინა. ვულდ მსურეები ფოსტის უმაზლოებლის გამოფეგამოგუზისნის ჰეჭვიანების ცხოვ უნის, რომლებსაც ამას სახელზედ მიედლემე წერილებს ანგიამ. ეს დამის ფოსტის ეგანისტის შორეგლებელი დოლუნე მოქმედება. ახალ ეგვი 2,000 ყუთი დაუდებია გარმის გადისთვის.

## დეპეშა

19 აგვისტო

ПЕТЕРБУРГИ. გაზეთს „Граждaнинъ"-ს პირველი გაურთბოლება მიეულია, რადგანაც ეს გაზეთი, თუმცა კეთილ-სიმშვიდის მიმართულებისასაა, ხანდისხან ძალიან უმართებულოდ იხსენიებს მართლმადიდებლობის მოქმედების და განკარგულების და სახელმწიფო უმაღლეს დაწესებულებას; ამით ამ ცოდნებიმის ღირსებას და ხასეთს.

ცნობილი მოგზაური პრჟევალსკი მეზუდელ წავიდა შუა აზიაში. პრჟევალსკის განზრახვა აქვს მივიდეს ლასას, ტიბეტის დედა-ქალაქს.

შემოდგომას სახელმწიფო სამჭოში შეტანილი იქმნება პროექტი სანაფლ-საზღვრო გადასახადის და შენობათა შესახებ.

ბერლინი. აქაურს დამატებით არჩევანზე რეისსტაგის წევრად ირჩივს სოციალისტი ლიბკნეჰტი.

პარიზი. სოფელში დაეტესეგისათ 50 კაცი და სწამებენ, ვითომ შეწოვდად ამყვივებენ გიდეფვეს. დატუსადებულნითვის ძლიერ უცემიათ.

ლონდონი. საფრანგეთმა და რუსეთმა სხვა სახელმწიფოებ გამოაცხადეს, რომ ხელს არ მოაწერენ შაქრის კონვენციაზე, სანამ ამ კონვენციას არ შეიწყნარებენ სახელმწიფოები, რომელთაც იგი შეეხებათ.

2) აგვისტო

ПЕТЕРБУРГИ. გამოცხადებულია წესდება პოლონეთის სამეფოს გუბერნიების საერო საკრედიტო საზოგადოებისა.

БЕРЛИНИ. ხელმწიფე იმპერატრიცა სამეფო გვარის სხვა წევრებთან ერთად დაესწრო წარმოდგენაზე, ითამაშეს „საბინელ ქალების მოტაცება". თეატრის წინ მასის უდიდებულესობისა და უელის პრინცესას მისვლას დიდ-ძალი ხალხი ელოდებოდა. ხელმწიფე იმპერატრიცასა და უელის პრინცესას ფოიეში მიეგებნენ ბურგომისტრი და თეატრის დირექტორი. წარმოდგენამ ძალიან კარგად ჩაიარა.

НИЖНИЙ-НОВГОРОДИ. ტილოეული საქონელი იაროსლავის ფაბრიკებისა კარგად ვერ იყიდება; ფასი შარშანდელზე მეტია; შუათანა ღირსების ტილოზე არშინზე ფასი ორი კაპეიკი შამოემატა. გრიბანოვის საქონელი შარშანდებურად იყიდება; ტილო იარმუკაზე იმდენი მოუტანიათ, რამდენიც შარშან. ბამბეულობა კარგად იყიდებოდა; 20%-ით შარშანდელზე მეტი მოუტანიათ. ფასი მეტია. ქსოვილი ნელად იყიდება; ფასი 5%-ით ნაკლები იყო. დიდ-დიდი ფაბრიკები ჯერ არა ჰყიდულობენ, რადგანაც ფუთი ხუთ მანეთადა ფასობს. ფაიანსი, ფარფორი და ჭურჭელი იყიდება შარშანდელ ფასად; ეს საქონელი იმდენი მოუტანიათ, რამდენიც შარშან იყო. მეტი მუშტრები ვოლგის მხარისა არიან; საქონელი მიაქვსთ აგრეთვე ბუხარაში, შუა აზიასა და სპარსეთში.

БЕЛГРАДИ. სარწმუნოებათა მინისტრმა გაუგზავნა საეკკლესიო უწყებას ცირკულიარი; ცირკულიარში ნაბძანებია, რომ არ იდღესასწაულონ დედოფლის დაბადება.

პიროჩიანცმა ჩაბარა კონსისტორიას დედოფლის წერილი; ეს წერილი ძალიან ზომიერად არის შედგენილი. დედოფალს, როგორც წერილიდგან სჩანს, იმედი აქვს, რომ მეფე დააფასებს იმისს ზომიერებას. ამ ნაირად იმედია, რომ იმათ შორის მორიგება შესაძლებელია. კონსისტორიას სხდომა ექმნება დღეს სადამოს; ხვალ განაჩენსაც გამოაცხადებენ.

პეტერბურგის ბირჟა, 19 აგვისტო

| | მყიდველნი ჰქ. | გამყიდველნი ჰქ. | გარიგება ყოფ. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 8 04 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | $159^1/_2$ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | 1 26 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი . . . . . | $267^1/_2$ | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . . | $247^1/_2$ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | 98 „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | 98 „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | $82^1/_2$ | — „ | — „ |

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 აგვისტოდამ 1 სექტემბრამდე

თეთრი პური რუსული 1 გირ. . 5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა. . 3 „
„ 2 „ $2^1/_2$ „
თონის წითელი პური 1-ის ხარის. 5 „
„ „ 2 — $3^1/_2$ „
„ „ 3 „ 3 „
ჯვარის მამის პურის ლავაში
1-ლის ხარისხისა . . 5 „
მე-2 ხარისხისა . . 4
მე-3 — . . „ „
ძროხის ხორცი . . 8 „
„ 2 „ 7 „
სუკი . . . 14 „
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
ღორის ხორცი . . . „ „
„ 2 „ „ „


## განცხადებანი

ქ. გორში, ორლობის ქუჩაზე, თევდორეევის სახლში გაემართე ერთკლასიანი კერძო სასწავლებელი ვაჟთათვის. ამ სასწავლებელს საგნად აქვს მისცეს ყმაწვილებს პირველ-დაწყებითი სწავლა-ცოდნა და აგრეთვე მოამზადოს იგინი სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლების პირველ კლასებში შესასვლელად. მიღება ყმაწვილებისა დაიწყება 25 მარიამობისთვიდგან. სწავლის ფასი თითოზედ თვეში 2 მანათი.

კონსტანტინე გრ. ქე ცხვედაძე
(10—8)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენი, ლი წიგნები:

ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან . . . . . . . . „ 40 (მან. კაპ.)
ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . . „ 15
სწორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, ზ. კვიცარიძისა . . . . . . . . › 40
ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა 1 ნაწ. . . . . . . 1 50
II ნაწ. . . . . . . 1 50
ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . . „ 15
ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის" გამოცემა. . . . „ 40
ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . „ 30
ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . „ 50
საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . 3 „
მცხეთის ტაძარი, გამოც. დამბაშიძისა . . . . . . „ 25

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის.

წელიწადი მეშვიდე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებსა და მოამზადოს ვაჭრობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1888—89 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორ-კეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და მშვიანი.

სწავლა დაიწყობა 25 სექტემბრიდამ; ახლად შემოსასვლელთა მიღება დაიწყება 15 სექტემბრიდამ, ყოველ დღე სადამოს 4 საათიდამ 8 საათამდე კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩებზე, ათვთაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრებს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ზ. მანუელიანცს ტფილისს. (12—1)

### ხმარება მხოლოდ

კიოლერის ზეთისა და ფხვნილისა

შინაურის თითბრისა და სპილენძის ავეჯის გასაწმენდად (მაგალითებრ: სამოვრებისა, კლიტეებისა და სხ.) უფრო საუკეთესო საშუალება, ვიდრე სხვა ამ გვარი რომელიმე საშუალება.

ისყიდება პროვინციაში ყველა დიდ მოვაჭრეებთან; მოსკოვში — რ. კიოლერთანა და ამხ., ნიკოლსკის ქუჩაზედ. 3—3 (ц.)

### ამიერ-კავკასიის უმთავრესი ცნობათა კანტორა

(Закавказская центральная справочная контора)

შ. ვ. დავიდოვისა.

ეს ერთად-ერთი კანტორაა ქ. ტფილისში, რომელიც მთავრობისაგან ნება-დართულია და რომელსაც გირაო აქვს შეტანილი ხაზინაში.

კანტორასა აქვს საგნად შეკრიბოს და მოიპოვოს ყოველ გვარი ცნობა, რომელიც-კი საჭიროა და სასარგებლო ვისთვისმე. კანტორას ეცოდინება, სად, რომელი, ვისი და როგორი მამული ისყიდება, გირავდება, ან იჯარით და ქირით იძლევა და რა ფასად; ვის უნდა სახლი დაიქირავოს, ან გააქირავოს ქალაქში, ანუ ქალაქ გარეშე; სად რა ბანკები, ანუ სავაჭრო და სატრანსპორტო დაწესებულებანი არიან და რა წესები აქვსთ შემოღებული თავიანთს საქმეში; ვინ ეძებს და ვის უნდა იშოვნოს საადვოკატო, სამწერლო, სამასწავლებლო და სხვა ამ გვარი საქმე: ანუ მუშაობის, პრიკაშჩიკების, მოახლის, მოსამსახურის ადგილი და სხვა.

არზებისა და სხვა ქაღალდების შედგენა.

ქ. ტფილისი, თავად-აზნაურობის ბანკის ქარვასლა (არწრუნისეული), თეატრის ქვეშ (Г. Тифлисъ. Караванъ-сарай Двор. Банка, бывшій Арцруни, подъ театромъ).


Доз. ценз. Тифлисъ, 20-го Августа 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა, (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე